საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3297-03
24/09/2020

„2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების, სააპელაციო და ხელშეკრულების გაფორმების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის N3075-03 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, ბიზნესის სკოლის დეკანის, დიმიტრი ჯაფარიძის 2020 წლის 24 სექტემბრის N8918-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1.შევიდეს დამატება „2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები გამოცდების, სააპელაციო და ხელშეკრულების გაფორმების ვადების განსაზღვრის შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 18 სექტემბრის N3075-03 ბრძანებაში და დაემატოს 1^1 პუნქტი ქვემოთ მოცემულის შესაბამისად:

„1^1. ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები ადგილების რაოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ და დაფინანსების გარეშე მისაღებ პირთა გადანაწილება მოხდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე შედგენილი რეიტინგული სიის მიხედვით.“

2.ამ ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს,

განათლების სკოლას, იურიდიულ სამსახურსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი